



მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1930 წ. მაისის 4.

№ 3

ნაწილი პირველი

შ ი ნ ა ა რ ს ი:

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

31. სასოფლო საბჭოებთან სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირების მოწყობისა და მათი დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.
დებულება სასოფლო საბჭოებთან არსებული სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირების შესახებ.

32. იმ დადგენილების მე-3 მუხლის შეცვლის შესახებ, რომლითაც ადგილობრივ საბჭოებს მინიჭებული აქვთ უფლება—ადმინისტრატიული გადასახდელი დაადგან იმ პირთ, ვინც თავს აარიდებს პურის ჩაბარებას თვითდაბეგვრის წესით პურის დამზადების გეგმის შესასრულებლად.

33. სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ საწარმოსა და დაწესებულებებში მომქმედი სამხანაგო სასამართლოების ქვემდებარების შეცვლის შესახებ.

34. კერძო პირთა კუთვნილი ბენზინისა და ნავთის შესანახი ლითონის ბოჭკების რეკვიზიციის შესახებ.

35. ოთხფეხი საქონლისა და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის ნასყიდობის გარიგებათა სავალდებულო რეგისტრაციის შესახებ.

36. სოფლის საბჭოების სარევიზიო კომისიების მიერ გამწყდარი დაზღვეული ოთხფეხი საქონლის სალიკვიდაციო აქტების შემოწმების შესახებ.

37. „ადგილობრივი საგლეხო სადასახლეო ხელულებელი სათესლე მარაგის (ფონდების)“ თაობაზე გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების დამატების შესახებ.

38. სისხლის სამართლის კოდექსისათვის 136¹ მუხლის დამატების შესახებ.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

39. სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ ბავშვთა კომისიისათვის სახელმწიფო დროშის დამზადების და გავრცელების მონოპოლიური უფლების მინიჭების შესახებ.

40. საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ჩატარებაში მონაწილეობის მისაღებად გაგზავნილ მუშა-მოსამსახურეების საწარმო-დაწესებულებაში მუშაობისაგან განთავისუფლებისა და მათთვის საშუალო სამუშაო ხელფასის შენარჩუნების შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

41. 1930 წ. საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმის შესახებ.

42. რუსთაველის სახელობის სადრამო თეატრისა, ტფილისის საოპერო თეატრისა, ქუთაისის სადრამო თეატრისა, მოზარდი მსახურების თეატრისა, სომხური სადრამო თეატრისა და თურქული სადრამო თეატრის სახელმწიფო აკადემიურ თეატრებად გამოცხადების შესახებ.

43. კულაკური ძალადობისაგან დაზარალებულ პირთა შეღავათების შესახებ.

44. „საქართველოს ტერიტორიაზე წვრილი მრეწველობის (შინა-მრეწველ ხელოსნური) აღწერის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების მე-7 მუხლის შეცვლის შესახებ.

45. „დედა-ცხვრების დაკვლის აკრძალვის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების 1-ლი მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

31. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სასოფლო საბჭოებთან სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირების მოწყობისა და მათი დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. მოწყობილ იქნეს, ორი კვირის ვადაზე დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა, საქართველოს სსრ და მის შედგენილობაში შემავალ აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ყველა სასოფლო საბჭოსთან სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირი.

2. იმ სასოფლო საბჭოში, სადაც მოწყობილია სასოფლო-სამეურნეო სექცია, იგი იმავე ვადაზე გადაკეთებულ უნდა იქნეს სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირად.

3. დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი დებულება სასოფლო საბჭოებთან არსებული სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სასოფლო საბჭოებთან არსებული სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირების შესახებ.

1. სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირი მოეწყობა ყველა სასოფლო საბჭოსთან—მისი სექციის უფლებით—სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში მოჯამაგირეთა, ღარიბ და საშუალო გლეხთა ფართო მასების ჩასაბმელად. სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირი მასიური ორგანიზაციაა სოფლის აქტივისა მოჯამაგირეთა, ღარიბ და საშუალო გლეხთაგან.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირი მიზნად ისახავს შეიმუშავოს და განახორციელოს თავისი რაიონის სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნისათვის საჭირო ღონისძიებანი (საბჭოთა მეურნეობებისა, კოლექტიური მეურნეობებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მშენებლობა, წარმოებითი კოოპერირება და სხვ.) და აგრეთვე განახორციელოს ღონისძიებანი თავისი რაიონის ნათესი სივრცის გაფართოებისა, მოსავლიანობის გადიდებისა, მეცხოველეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების განვითარებისათვის, როგორც საბჭოთა მეურნეობებში და კოლექტიურ მეურნეობებში, ისე ღარიბ და საშუალო მეურნეობებში.

თავისი მუშაობა სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირმა უნდა განახორციელოს საბჭოთა ხელისუფლების კლასობრივი პოლიტიკის საფუძველზე.

2. სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირის შედგენილობაში შედიან: სასოფლო საბჭოს და სარევიზიო კომისიის წევრნი და მათი კანდიდატები, საბჭოთა მეურნეობებისა, კოლექტიური მეურნეობებისა, ადგილობრივი პირველადი სასოფლო-სამეურნეო საწარმოო შენაერთებისა (სამანქანო, სამთევსელო და სხვ. ამხან.) და სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე მომქმედი სხვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული ამხანაგობის წარმომადგენელნი, აგრო-რწმუნებულნი, ადგილობრივი აგრონომი, მიწათმომწყობი, ვეტერინარი-ექიმი და სხვა საადგილმამულო მომუშავე, საგლეხო საურთიერთო დახმარების საზოგადოების კომიტეტის წევრნი და მიწისა და ტყის მუშათა კავშირის ადგილობრივი ორგანიზაციის წარმომადგენელნი.

ამის გარდა, სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირის შედგენილობაში შედიან: აქტივისტები კომკავშირელთა, მოჯამაგირეთა, ღარიბ და საშუალო გლეხთაგან, ქალთა სადღეღვატო კრების შედგენილობის დელეგატი-ქალები და აგრეთვე მასწავლებელნი, ქოხ-სამკითხველოს გამგენი, პოლიტიკური განათლების დარგის მომუშავენი და სოფლის სხვა საზოგადო მომუშავენი.

ის პირი, რომელსაც საარჩევნო უფლება ჩამორთმეული აქვს, სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირის წევრად არ შეიძლება იყოს.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირის შედგენილობას ამტკიცებს სასოფლო საბჭო.

3. სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირი აირჩევს თავისი შედგენილობიდან ბიუროს ხუთი კაცისაგან (თავმჯდომარე, მდივანი და სამი წევრი); ბიუ-

რო ამზადებს თათბირის მიერ განსახილველ საკითხებს და ხელს უწყობს მიღებულ გადაწყვეტილებათა აღსრულებას.

4. მინდერის მუშაობისაგან თავისუფალ დროს სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირი იკრიბება თვეში ერთხელ მაინც.

5. თათბირს შეუძლიან გამოჰყოს ესა თუ ის თავისი წევრი სხვადასხვა გამოკვლევის მოსახდენად და სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე მოქმედ ამა თუ იმ ორგანიზაციის მოქმედებისათვის მუდმივ თვალყურის სადევნებლად.

6. სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირის მიერ შემუშავებული ყველა ღონისძიება და მიღებული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინება სასოფლო საბჭოს და, დამტკიცების შემდეგ, განხორციელდება როგორც სასოფლო საბჭოს დადგენილება.

უკეთეს საჭიროა, რომ თათბირის მიერ განზრახული ღონისძიება სასწრაფოდ იქნეს აღსრულებული, იგი შეიძლება განხორციელდეს დაუყოვნებლივ, სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცების შემდეგ. ხოლო ასეთი ღონისძიება შემდგომ დამტკიცებულ უნდა იქნეს სასოფლო საბჭოს სხდომაზე.

7. სასოფლო საბჭოს მუშაობის საერთო გეგმის შესაბამისად სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირი შეიმუშავებს სოფლის მეურნეობის სფეროში მუშაობის კონკრეტულ გეგმას.

8. სასოფლო საბჭოს წინადადებით სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირი ან მისი ბიურო მისცემს თავის დასკვნას სასოფლო საბჭოს სხდომაზე განსახილველი სასოფლო-სამეურნეო საკითხების შესახებ.

9. თავისი მუშაობის ანგარიშს სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირი წარუდგენს სასოფლო საბჭოს სამს თვეში ერთხელ მაინც, ხოლო მოსახლეობას—სასოფლო საბჭოს მიერ საანგარიშო კამპანიის ჩატარებისათვის დადგენილ ვადაზე. ამის გარდა, სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირის წევრები თავიანთი მუშაობის ანგარიშს პერსონალურად წარუდგენენ მათ ამრჩევ ორგანიზაციებს.

10. სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირი შეიმუშავებს თავისი რაიონის სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმას (სასოფლო გეგმას).

თათბირი შეიმუშავებს სასოფლო გეგმას სათანადო რაიონის სოფლის მეურნეობის განვითარების დამტკიცებული ხუთწლიანი გეგმისა და წლიური გეგმის საფუძველზე და თანაც მხედველობაში მიიღებს უწყებელი ადგილის ბუნებრივ და ეკონომიურ პირობებს და გაითვალისწინებს ამ ადგილის სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების განვითარებას.

ყველა თავის ღონისძიებას თათბირი განიხილავს და განახორციელებს მის მიერ შემუშავებული სასოფლო გეგმის საფუძველზე.

11. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და წარმოებითი კოოპერირების სფეროში სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირი: ა) ყოველმხრივ ხელს შეუწყობს არსებულ საბჭოთა მეურნეობებს და მოაწყობს ფართო საზოგადოებრივ დახმარებას ახალი საბჭოთა მეურნეობების მშენებლობისათვის; ბ) ხელს შეუწყობს კოლექტიური მეურნეობებისა და წარმოებითი კოოპერატიული შენაერთების (სამთესველო, სამანქანო, სამელიორაციო და სხვა ამხანაგ.) ორგანიზაციას და აგრეთვე არსებული კოლექტიური მეურნეობის გადიდებას და მარ-

ტივი წარმოებითი შენაერთების უმადლესი ფორმის შენაერთებზე გადაყვანას: გ) ხელს შეუწყობს მთელი სოფლების ან საადგილმამულო საზოგადოებების ერთიან კოლექტივიზაციას სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დახმარებით და კონტრაქტაციის მეშვეობით; დ) მოისმენს და განიხილავს საბჭოთა მეურნეობებისა და კოლექტიურ მეურნეობების მუშაობის გეგმებსა და ანგარიშებს.

12. ღარიბთა და მოჯამაგირეთა დახმარების ორგანიზაციის სფეროში სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირი: ა) ხელს შეუწყობს ღარიბთა კოოპერირებისა და კოლექტივიზაციის განსაკუთრებული ფონდების შექმნას და ღარიბი მოსახლეობის რაც შეიძლება ფართოდ ჩაბმას კოოპერაციაში ამ ფონდების ხარჯზე; თვალყურს ადევნებს კოოპერირებისა და კოლექტივიზაციის ფონდში ანარაღების სისწორით და თავის დროზე შეტანას და ამ ფონდის პირდაპირი დანიშნულებისამებრ გამოყენებას; ბ) ხელს შეუწყობს ღარიბ და მცირეძალოვან საშუალო მეურნეობებს კრედიტის მიღების საქმეში როგორც ღარიბთა ფონდიდან, ისე სოფლის მეურნეობის დაკრედიტების საერთო ფონდიდან; გ) შეიმუშავებს ღონისძიებას ღარიბი მოსახლეობისათვის თესვისა და მოსავლის აღების კამპანიის დროს საზოგადოებრივი დახმარების აღმოსაჩენად; დ) გამოაშკარავებს საკაბალო ვარიგებებსა და მიწის ფარული იჯარით გაცემის შემთხვევებს და თვალყურს ადევნებს, რათა მოიჯარადრემ კარგად მოუაროს იჯარით აღებულ მიწას (მიწის სათანადოდ დამუშავება და აუცილებლად გააბატონება); ე) ხელს შეუწყობს საგლეხო საურთიერთო დახმარების საზოგადოებათა კომიტეტებსა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მოჯამაგირეთა დახმარების საქმეში (მოჯამაგირეთათვის მიწის მიცემა, კოლექტიურ მეურნეობებში, თუ სხვა წარმოებითი შენაერთებში და კოოპერაციაში მათი ჩაბმა და სხვ.).

13. თავისი რაიონის სოფლის მეურნეობის გარდაქმნისა, მოსავლიანობის გადიდებისა, ნათესი სივრცის გაფართოებისა და ღარიბი და საშუალო მეურნეობების საერთო წარმატების სფეროში—სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირი: ა) შეიმუშავებს ღონისძიებათ, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი სათვისლე ფონდებისა, გამჭირავებელი, მარცვლის საწმენდი, საგრილობელი და სხვა, საზოგადო სარგებლობის პუნქტების შექმნასა და გაფართოებას; ბ) მიიღებს, სათანადო ორგანიზაციების მეშვეობით, ღონისძიებას ღარიბ და საშუალო მეურნეობების უზრუნველყოფისათვის მანქანებით, იარაღით, მინერალური სასუქით, თესლით და სხვა საწარმოო საშუალებით, და აგრეთვე ქონებულ საწარმოო საშუალებათა უფრო მიზანშეწონილი და სრული გამოყენებისათვის (ღარიბთა ჯგუფების მოწყობა, როგორც ინდივიდუალურ, ისე საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობების კუთვნილი ინვენტარისა და მანქანების კოლექტიურად გამოყენებისათვის); გ) ხელს შეუწყობს კონტრაქტაციის ჩატარებას თავისი რაიონის ფარგლებში და განიხილავს, ამ მიზნით, საკონტრაქტაციოდ დასადებ ხელშეკრულებათ; დ) შეიმუშავებს თავისი რაიონისათვის იმ მარტივ სააგრიკულტურო და სამეცხოველეო ღონისძიებათა მინიმუმს, რაც განხორციელებულ უნდა იქნეს სავალდებულო წესით ან შეჯიბრების ხელშეკრულობის საფუძველზე, და თვალყურს ადევნებს ამ ღონისძიებათა განხორციელებას; შეიმუშავებს სოფლის მეურნეობის მავნებლებთან (მინდვრისა, ბაღისა და მარცვლის საცავის) ბრძოლის



გეგმას; ე) გამოარკვევს ადგილობრივი სასუქის უფრო მიზანშეწონილად გამოყენების საშუალებას (ნაკელის შენახვა, გაკირიანება და სხვ.); ვ) ხელს შეუწყობს მეურნეობის მრავალმინდვრიანობაზე გადასვლის საქმეს და განიხილავს ამ გადასვლის კონკრეტულ გეგმას თვითეთლი სოფლისათვის (ცალკე; ზ) განიხილავს საგლეხო მეურნეობათა დაკრედიტებისა და დაფინანსების საკითხებს და თვალყურს ადევნებს კლასობრივი ხაზის განხორციელებას კრედიტების განაწილების საქმეში და გაცემულ სესხთა სათანადოდ გამოყენებას; თ) შეიმუშავებს ღონისძიებას თვით მოსახლეობის სახსარის აგრიკულტურულ-წარმოებითი საქმიანობათათვის მოსახმარებლად; ი) მონაწილეობას მიიღებს იმ ღონისძიებათა კონკრეტული გეგმის შემუშავებაში, რაც ხელს შეუწყობს საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობების მიერ ღარიბ და საშუალო მეურნეობათათვის აგრო-წარმოებითი მომსახურების გაწევის საქმეს; კ) შეიმუშავებს, კულტურულ-განმანათლებელ სექციასთან და ადგილობრივ აგრონომთან ერთად, იმ ღონისძიებათ, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობაში აგრონომიული უცოდინარობის ლიკვიდაციას და აგრიკულტურული ცოდნის გავრცელებას საცდელ-საჩვენებელი ნაკვეთებისა, სასოფლო-სამეურნეო წრეებისა, კურსებისა, საუბრებისა, მოხსენებებისა, ექსკურსიებისა და სხვ. მოწყობით, და დახმარებას გაუწევს ამ ღონისძიებათა განხორციელების საქმეს; ლ) შეიმუშავებს ღონისძიებას ღარიბ და საშუალო მეურნეობათათვის პრემიების მისაცემად სოფლის მეურნეობაში თვალსაჩინო გაუმჯობესებათა შეტანისათვის; მ) გამოარკვევს, სათანადო გამოყენებისათვის, ისეთ მიწებს, რაც მეურნეობრივად გამოყენებული არ არის; ნ) მოაწყობს სოციალისტურ შეჯიბრებას საბჭოთა მეურნეობებსა, კოლექტიურ მეურნეობებსა და ცალკეულ საგლეხო მეურნეობებს შორის; ო) შეიმუშავებს თესვისა და მოსავლის აღების კამპანიის ჩატარების კონკრეტულ გეგმას; პ) ვააცნობს სოფლის აქტივსა და მთლად მოსახლეობას მიწის კანონებსა და სოფლის მეურნეობის წარმატებისათვის მთავრობის მიერ მიღებულ ღონისძიებებს.

14. მეცხოველეობის გაუმჯობესების სფეროში—სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირი: ა) ხელს შეუწყობს ყოველგვარი სახის მესაქონლეობის განვითარების საქმეს (მეცხვარეობა, მეღორეობა, მეცხენეობა და სხვ.); ბ) ხელს შეუწყობს კოოპერატიულ ორგანიზაციებს მეცხოველეობის კოლექტივიზაციის საქმეში (საქონლისათვის კოლექტიური ბაკებისა, სამესაქონლეო და სამერძეულო კოოპერატივებისა, სამერძეულო და სასხმელი პუნქტების და სხვ. მოწყობა); გ) შეიმუშავებს სხვადასხვა ღონისძიებას საქონლის ჯიშის გაუმჯობესებისათვის; ხელს შეუწყობს ამ მიზნით სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციების მიერ ჯიშისანი სანაშენო საქონლის შექმნას; დ) მიიღებს ღონისძიებას ბალახის თესვისა და ნოყიერი საკვები მასალის დამზადებისათვის; ე) მიიღებს ღონისძიებას სავეტერინარო პერსონალის მიერ საგლეხო საქონლისათვის სათანადო მომსახურების გასაწევად; ვ) მიიღებს ღონისძიებას ეპიზოოტიისა და გადამდებ ავადმყოფობათა წინააღმდეგ ბრძოლისათვის; ხელს შეუწყობს საქონლის აკრის ორგანიზაციას და თვალყურს ადევნებს საქონლის სასაფლაოებისათვის ადგილის მიჩენისა და სათანადოდ მოვლის საქმეს.

15. მიწათმოწყობის სფეროში—სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირი: ა) მისცემს დასკვნებს მიწათმოწყობის გეგმებისა და პროექტების შესახებ და თვალყურს ადევნებს ამ გეგმებისა და პროექტების სათანადოდ განხორციელებას; ბ) დაიცავს ღარიბ და საშუალო მეურნეობათა ინტერესებს მიწათმოწყობის ჩატარების დროს; ხელს შეუწყობს მელიორაციისა და მორწყვის კონკრეტული გეგმების შემუშავებას და დახმარებას გაუწევს ამ მიზნით სამელიორაციო და სხვა ამხანაგობათა ორგანიზაციის საქმეს; ხელს შეუწყობს ველების სათანადო ექსპლოატაციას; დ) თვალყურს ადევნებს მიწის ფონდების სათანადოდ გამოყენებას და მიიღებს ღონისძიებას ამ მიწების საზოგადოებრივი წესით მოხვნისა და დათესვისათვის სათესლე ფონდების შესაქმნელად; ე) გადასახლების ორგანიზაციის დროს დაიცავს გადასახლებულთა ინტერესებს მათი აყრის ადგილას ქონების ლიკვიდაციისათვის და ხელს შეუწყობს მათ გაერთიანებას სასოფლო-სამეურნეო კოლექტივებად.

16. სატყეო მეურნეობის სფეროში—სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირი: ა) შეიმუშავებს, მეტყევეებთან ერთად, ღონისძიებას ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების წესიერად დაყენებისა და ექსპლოატაციისათვის და ხელს შეუწყობს ტყის დამზადებას; ბ) შეიმუშავებს და განიხილავს ღონისძიებას ტყის გაშენებისათვის და ტყის-კაფვის წინააღმდეგ ბრძოლისათვის; გ) ხელს შეუწყობს ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების დაცვის ორგანიზაციას და დაეხმარება სასოფლო საბჭოს და ტყეების ორგანოებს ტყის-კაფვისა და ტყის ხანძარის წინააღმდეგ ბრძოლაში.

17. ამა თუ იმ ცალკეულ ადგილას აგრიკულტურულ ღონისძიებათა განხორციელების საქმეს ხელმძღვანელობასა და მეთვალყურეობას გაუწევნ უშუალოდ განსაკუთრებული აგრორწმუნებულნი.

18. მუშაობა აგრორწმუნებულებისა, რომელნიც მოქმედებენ „აგრიკულტურულ ღონისძიებათა განხორციელების საქმის რწმუნებულთა ინსტიტუტის დაარსების შესახებ“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. აპრილის 5-ის დადგენილების საფუძველზე (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-11 №-ი, მუხ. 94), მოწესრიგდება განსაკუთრებული დებულებით, რასაც დაამტკიცებს მიწათმოქმედების სახალხო კომისარო.

32. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

იმ დადგენილების მე-3 მუხლის შეცვლის შესახებ, რომლითაც ადგილობრივ საბჭოებს მინიჭებული აქვთ უფლება—ადმინისტრაციული გადასახდელი და ადვან იმ პირთ, ვინც თავს აარიდებს პურის ჩაბარებას თვითვალდების წესით პურის დამზადების გეგმის შესასრულებლად.

მე-3 მუხლი სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის ოქტომბრის 30-ის დადგენილებისა „ადგილობრივი საბჭოებისათვის იმ უფლების მინიჭების შესახებ, რომლის ძალითაც მათ შეუძლიანთ ადმინისტრაციული გა-

დასახდელი დაადგან იმ პირთ, ვინც თავს აარიდებს პურის ჩაბარებას თვით-ვალდების წესით პურის დამზადების გეგმის შესასრულებლად“ (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. 22 №-ი, მუხ. 258) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამა დადგენილების ძალით გადახდევინებული ჯარიმა, აგრეთვე 1-ლი მუხლის წესისამებრ ქონების საჯარო ვაჭრობაზე გაყიდვით შემოსული თანხები მიიქცევა: ა) 25%-ი სოფლის ღარიბთა და ამბოკართა კოოპერირებისა და კოლექტივიზაციის ფონდში—სათანადო ადგილის მიხედვით; ბ) 25%-ი ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის განსაკუთრებულ ფონდში კულაკური ძალადობისაგან დაზარალებულ პირთა და მეურნეობათათვის უკუდაუბრუნებული დაზარების მისაცემად; გ) დანარჩენი 50%-ი გადაირიცხება სსრკ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიმდინარე ანგარიშზე სახელმწიფო ბანკში და ამ თანხებს მიეცემა დანიშნულება საერთო საკავშირო კანონით განსაზღვრული წესისამებრ.“

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმას-
რულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმას-
რულებელი კომიტეტის მდივნი ს. თოდრია.

1930 წ. იანვრის 6.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტ“-ის 20 №-ში 1930 წ. იანვრის 25.

33. დადგენილება ც. ა. ქ. და ს. ა. ს.

სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ საწარმოსა და დაწესებულებებში მოქმედი საამხანაგო სასამართლოების ქვემდებარეობის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის აგვისტოს 26-ის დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-18 №-ი, მუხ. 198) თანახმად სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ საწარმოსა და დაწესებულებებში მოწყობილი საამხანაგო სასამართლოების გამგებლობას მიეკუთვნება შემდეგი საქმე:

ა) მოქმედებით, სიტყვით ან წერილობით მიყენებული შეურაცხყოფის შესახებ და აგრეთვე შემოკვრით მიყენებული შეურაცხყოფის შესახებ, უკეთუ ამ უკანასკნელ მოქმედებას ფიზიკური ტკივილი არ გამოუწვევია (სისხ. სამ. კოდ. 174 მუხ.);

ბ) ისეთი შეურაცხყოფის შესახებ, რაც მიყენებულ იქნება გავრცელებულ ან საჯაროდ გამოფენილი ბეჭდვითი ნაწარმოებით ან ნახატით (სისხ. სამ. კოდ. 175 მუხ.).

ამა დადგენილების 1-ლი მუხლის თანახმად, მე-4 და მე-14 მუხლები სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის აგვისტოს 26-ის დადგენილებისა „სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ საწარმოსა და დაწესებულებებში მოქმედი საამხანაგო სასამართლოების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. 18 №-ი, მუხ. 198) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 4. საამხანაგო სასამართლოს ექვემდებარება:

ა) საქმე მოქმედებით, სიტყვით ან წერილობით მიყენებული შეურაცხყოფის შესახებ და აგრეთვე შემოკვრით მიყენებული შეურაცხყოფის შესახებ, უკეთეს ამ უკანასკნელ მოქმედებას ფიზიკური ტკივილი არ გამოუწვევია (სისხ. სამ. კოდ. 174 მუხ.);

ბ) საქმე ისეთი შეურაცხყოფის შესახებ, რაც მიყენებული იქნება გავრცელებული ან საჯაროდ გამოფენილი ბეჭდვითი ნაწარმოებით ან ნახატით (სისხ. სამ. კოდ. 175 მუხ.).“

„მუხ. 14. ამა დადგენილების მე-4 მუხლში აღნიშნული საქმეების განხილვის დროს საამხანაგო სასამართლო ვალდებულია იხმაროს ღონისძიება მხარეთა შესარიგებლად და ეცადოს, რათა ამხანაგური ახსნა-განმარტებით და ზეგავლენით არა თუ მოსპოს კონფლიქტი, არამედ აღკვეთოს მისი ხელახლად აღმოცენების შესაძლებლობაც“.

3. ზემოაღნიშნული დადგენილების მე-5 მუხლის „ბ“ პუნქტი გაუქმებულ იქნეს.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია**.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნი **ს. თოდრია**.

1929 წ. იანვრის 6.

ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია ვაზ. „კომუნისტ“-ის 19 №-ში 1930 წ. იანვრის 24.

34. დადგენილება ც. ა. კ. და ს. ა. ს.

კერძო პირთა კუთვნილი ბენზინისა და ნავთის შესანახი ლითონის ბოჭკების რეკვიზიციის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ჩამორთმეულ იქნეს რეკვიზიციის წესით საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ბენზინისა და ნავთის შესანახი ლითონის ბოჭკები, რაც კერძო ფიზიკურ და იურიდიულ პირთ ეკუთვნის.

2. წინა მიხლში აღნიშნულ ღონისძიებას განახორციელებენ,—სამოქ. სამართლის კოდექსის 69 და 70 მუხლების დანართით გათვალისწინებული წესის გამოაკლისად,—საქალაქო და სასოფლო საბჭოები, კუთვნილებისამებრ, სათანადო აქტების შედგენით.

3. ჩამორთმეული ბოჭკები გადაეცემა საოლქო (სამაზრო) კოლმეურნებათა კავშირების სატრაქტორო ბაზისებსა და კოლონებს შორის გასანაწილებლად.

4. საოლქო (სამაზრო) კოლმეურნეობათა კავშირი გადაუხდის ბოჭკის პატრონს საფასურს მტკიცე შეფასების მიხედვით, რასაც განსაზღვრავს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი ა/კსფსრ ვაქრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან (საქართველოს სსრ-ში) შეთანხმებით.

5. წინადადება მიეცეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს კოლმეურნეობათა ცენტრთან შეთანხმებით გამოსცეს ორი კვირის ვადაზე სათანადო ინსტრუქცია რეკვიზირებული ბოჭკების განაწილების წესის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმა-

სრულბელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს

თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმა-

სრულბელი კომიტეტის მდივნი ს. თოდრაია.

1930 წ. იანვრის 28.

ტფილისი—სასახლე.

35. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

ოთხფეხი საქონლისა და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის ნასყიდობის გარიგებათა სავალდებულო რეგისტრაციის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამყარებულ იქნეს სოფლად ოთხფეხი საქონლისა და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის ნასყიდობის გარიგებათა დადების შემდეგი წესი.

2. სოფლად დადებული გარიგება ოთხფეხი საქონლისა და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის ნასყიდობის შესახებ, ბათილობის რიდით, რეგისტრირებულ უნდა იქნეს სასოფლო საბჭოში გამყიდველის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

3. წინა მუხლში აღნიშნულ გარიგებათა რეგისტრაციის დროს გამყიდველმა უნდა წარადგინოს სათანადო რაიონის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობის მოწმობა იმის რაობაზე, თუ რა დავალიანება ირიცხება იმ სესხისა, რაც მიეცა მას პირადად ან იმ მეურნეობას, რომლის წევრიც იგია, ან რომ ასეთი დავალიანება არ არსებობს.

4. სასოფლო საბჭო უარს იტყვის გარიგების რეგისტრაციაზე, უკეთეს შემთხვევაში მუხლით გათვალისწინებული მოწმობა წარდგენილ არ იქნა.

ვინაცოხაა გამყიდველი ან ის მეურნეობა, რომლის წვერიც იგია, დავალიანებულია სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობის სესხით, სასოფლო საბჭოს შეუძლიან დაარეგისტროს ოთფეხი საქონლისა და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის ნასყიდობის გარიგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთეს ამის წინააღმდეგ სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობას არა ექნება-რა.

სასოფლო საბჭოს შეუძლიან უარი სთქვას გარიგების რეგისტრაციაზე, უკეთეს იგი სცნობს, რომ გარიგება მეურნეობრივად მიზანშეუწონელია და აშკარად მიმართულია მეურნეობის ინტერესების საზიანოდ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმა-
სრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმა-
სრულებელი კომიტეტის მდივანი ხ. თოდრია.

1930 წ. იანვრის 28.
ტფილისი—სასახლე.

36. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სოფლის საბჭოების სარევიზიო კომისიების მიერ გამწყდარი დაზღვეული ოთხფეხი საქონლის სალიკვიდაციო აქტების შემოწმების შესახებ.

დაზღვეული ოთხფეხი საქონლის გაწყდომის თაობაზე შედგენილი ფიქტიური სალიკვიდაციო აქტების წინააღმდეგ საბრძოლველად—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დაევალოს სასოფლო საბჭოების სარევიზიო კომისიებს თვეში ერთხელ შეამოწმონ ხოლმე დაწვრილებით გამწყდარ დაზღვეულ საქონელზე შედგენილი სალიკვიდაციო აქტები, როგორც ისეთი, რომლის მიხედვითაც სრულიად საქართველოს სახელმწიფო დაზღვევის კანტორის აგენტების მიერ გადახდილია ნასყიდელი, აგრეთვე ისეთი, რომლისათვისაც ნასყიდელი გადახდილი არ არის.

2. დაევალოს სრულიად საქართველოს სახელმწიფო დაზღვევის კანტორის აგენტებს წარუდგინონ ხოლმე ყოველთვე სათანადო სასოფლო საბჭოების სარევიზიო კომისიებს შესამოწმებლად, ამ კომისიებთან შეთანხმებულ ვადაზე, როგორც ნასყიდელ-გადახდილი, ისე ნასყიდელ-გადაუხდელი სალიკვიდაციო აქტები.

3. სასოფლო საბჭოს სარევიზიო კომისია მოვალეა განიხილოს თვითეული სალიკვიდაციო აქტი ცალკე და გამოარკვიოს, რამდენად შეესაბამება სინამდვილეს აქტში აღნიშნული ფაქტი, რომ ესა თუ ის ცხოველი მოკვდა და ამდენი

და ამდენი ცოცხალი დარჩა, და, საერთოდ, დაცულია თუ არა საქონლის საგადანაკვეთო დაზღვევის წესები.

სარევიზიო კომისიამ თვითეული შემოწმებული აქტის მეორე გვერდზე, სადაც ცარიელი ადგილია, უნდა აღნიშნოს შემოწმების შედეგი და თავის დასკვნა დაამოწმოს კომისიის ყველა წევრის ხელმოწერით.

4. უკეთეს შემოწმების დროს ესა თუ ის სალიკვიდაციო აქტი გამოიწვევს ეპეს, სარევიზიო კომისია გამოჰყოფს თავისი შედგენილობიდან ერთ წევრს, რომელსაც დაავალებს გამოარკვიოს ადგილობრივ საქმის ყველა გარემოება. თავისი გამოკვლევის შედეგს კომისიის წევრი წარუდგენს სარევიზიო კომისიას საკითხის საბოლოო გადასაწყვეტად.

5. უკეთეს სასოფლო საბჭოს სარევიზიო კომისია აღმოაჩენს ფიქტიურ აქტს, იგი, თავისი მხრით, შეადგენს განსაკუთრებულ აქტს, რომელშიაც დაწვრილებით აღნიშნავს ფიქტიუბის ხასიათს და ამ აქტს—სალიკვიდაციო აქტის დენდითურთ—გადასცემს საგამომძიებლო ორგანოებს დამნაშავე პირთა პასუხისგებაში მისაცემად.

6. სარევიზიო კომისია მთელი თავისი შედგენილობით პასუხისმგებელია მის მიერ სალიკვიდაციო აქტების თაობაზე განოტანილი დასკვნების სისწორისათვის.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმა-სრულელებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1930 წ. იანვრის 28.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტ“-ის 25 №-ში 1930 წ. იანვრის 31.

37. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

„ადგილობრივი საგლეხო სადამზღვეო ხელუხლებელი სათესლე მარაგის (ფონდების)“ თაობაზე გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. სექტემბრის 5-ის დადგენილებას „ადგილობრივი საგლეხო სადამზღვეო ხელუხლებელი სათესლე მა-

რავის (ფონდების) შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-19 №-ი, მუხ. 203) დაემატოს მე-2 და მე-10 მუხლების შენიშვნები და მე-19 მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„მე-2 მუხლის მე-2 შენიშვნა. ადგილობრივი სადამზღვეო ხელუხლებელი სათესლე ფონდები შეიძლება დაარსებულ იქნეს როგორც ცალკე სოფელულად, ისე საერთოდ იმ სოფლებისათვის, რომელთაც ერთი სასოფლო საბჭო აერთიანებს. უკანასკნელ შემთხვევაში ფონდის შექმნის საკითხი გადაწყდება ზემო აღნიშნული წესით ყველა დაინტერესებული სოფლის მოქალაქეთა გაერთიანებულ საზოგადო კრებაზე (ყრილობაზე) ან თვითეული სოფლის მოქალაქეთა საერთო კრებაზე (ყრილობაზე) ცალკეულად“.

„მე-10 მუხლის შენიშვნა. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს უფლება აქვს დააწესოს ხოლმე, ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, ზღვრული ნორმა იმ პროცენტისა, რაც უნდა გადაჰხდეს მსესხებელს სათესლე სესხისათვის“.

„მუხ. 19. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს უფლება აქვს გამოსცეს ხოლმე ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1930 წ. იანვრის 28.

ტიფლისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტ“-ის 25 №-ში 1930 წ. იანვრის 31.

38. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სისხლის სამართლის კოდექსისათვის 136¹ მუხლის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მეორე მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ (საქ. სსრ კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს 136¹ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„დაუზოგველი, ე. ი. სახალხო მეურნეობისათვის ზიანის მიყენებელი კვლა საქონლისა ან საქონლის განზრახ დაშავება—სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმის ჩაშლისა და სოფლის მეურნეობის წარმატების დაბრკოლების

მიზნით და აგრეთვე ვისიმე შეგულიანება ასეთი მოქმედებისათვის გამოიწვევს, გარდა სპეციალური კანონის თანახმად აღმინისტრაციული წესით დასაღები გადასახდელისა,—

თავისუფლების აღკვეთას ორ წლამდე განსაზღვრული ადგილიდან განდევნით ან უამისოდ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1930 წ. იანვრის 28.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტ“-ის 29 №-ში 1930 წ. თებერვლის 5.

სანატრალური აღმასრულებელი კომისიების დადგენილება.

39. დადგენილება ც.ა.კ.

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ ბავშვთა კომისიისათვის სახელმწიფო დროშის დამზადების და გავრცელების მონოპოლიური უფლების მინიჭების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ ბავშვთა დამხმარე კომისიას, მისი სახსარის გასაძლიერებლად მიენიჭოს მონოპოლიური უფლება დაამზადოს და გავრცელოს საქართველოს რესპუბლიკის ყველა ქალაქში საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშა.

2. წინადადება მიეცეს საოლქო და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს გამოსცენ სავალდებულო დადგენილებები, რომლებითაც ყველა სხვა დაწესებულებას და ორგანიზაციას, აგრეთვე კერძო პირებს აეკრძალებათ სახელმწიფო დროშის დამზადება და გავრცელება.

3. მიენდოს აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს გამოსცენ ანალოგიური დადგენილება.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1930 წ. იანვრის 6.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტ“-ის 10 №-ში 1930 წ. იანვრის 12.



40. დადგენილება ც. ა. კ.

საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ჩატარებაში მონაწილეობის მისაღებად გაგზავნილი მუშა-მოსამსახურეების საწარმო-დაწესებულებაში მუშაობისაგან განთავისუფლებისა და მათთვის საშუალო სამუშაო ხელფასის შენარჩუნების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს: ის მუშა-მოსამსახურენი, რომელნიც სათანადო ორგანოების განკარგულებით გაიგზავნებიან ტფილისის და სხვა ქალაქების საწარმოდან და დაწესებულებიდან საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ჩატარებაში მონაწილეობის მისაღებად, განთავისუფლებულ იქნენ საწარმო-დაწესებულებაში მუშაობისაგან მთელი იმ დროის განმავლობაში, როდესაც ისინი მივლინებული იქნებიან, და ამავე დროს განმავლობაში მათ უნდა შეენახოთ მათი საშუალო სამუშაო ხელფასი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ხ. თოდრია.

1929 წ. იანვრის 21.
ტფილისი—სასახლე.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება.

41. დადგენილება ს. კ. ს.

1930 წ. საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმის შესახებ.

1. 1930 წ. საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ჩატარებას განსაკუთრებული პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის შემდგომი წარმატებისა და მისი სოციალისტური გარდაქმნის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. სოფლის მეურნეობაში სარეკონსტრუქციო პროცესების მაქსიმალურად დაჩქარების ამოცანა მოითხოვს განსაკუთრებით მაღალი და ძლიერი ტემპების განხორციელებას და სასოფლო-სამეურნეო კამპანიის მთელი მუშაობის სწორ ორგანიზაციას.

2. ძირითად ამოცანებს სოფლის მეურნეობის განვითარებისა და მისი სოციალისტური გარდაქმნის სფეროში 1930 წ., რომელი ამოცანების გადაწყვეტაც საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის განხორციელებისათვის შემუშავებულ ღონისძიებათა სისტემის მიზანი უნდა იყოს,—შეადგენს:

ა) სოციალისტური სექტორის (საბჭოთა მეურნეობანი, კოლექტიური მეურნეობანი, სამანქანო-სატრაქტორო სადგურები) გაფართოება და მისი თვისებრივი განმტკიცება;

ბ) გადამწყვეტი გარდატეხა იმ ტენიკური და ძვირფასი კულტურების განვითარების ტემპებში, რომელთაც მთავარი მნიშვნელობა აქვთ საქართველოს სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის თვალსაზრისით;

გ) მოსავლიანობის გადიდებისა და მარცვლეული კულტურების სივრცის გაფართოების დასახული ტემპების შესრულების უზრუნველყოფა;

დ) თვალსაჩინო დაჩქარება მეცხოველეობის განვითარების ტემპისა მისი სოციალისტური რეკონსტრუქციის გზით;

ე) სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის ტემპების დაჩქარება;

ვ) სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის კონტრაქტაციის პრაქტიკის მაქსიმალური გაფართოება—მისი საორგანიზაციო საწარმოო მნიშვნელობის თვალსაჩინო გაძლიერებით;

ზ) ფართო წარმოებითი დახმარების აღმოჩენა ღარიბთათვის და ხელისშეწყობა საშუალო მეურნეობათა განვითარებისათვის იმ მიმართულებით, რაც უზრუნველყოფს ღარიბ და საშუალო მეურნეობათა წარმოებით კოოპერირებას და კოლექტივიზაციას კულაკის წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლასთან ერთად.

3. მოწონებულ იქნეს საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის საოპერაციო-წარმოებითი გეგმა; ამასთანავე აღინიშნოს მეცხოველეობის საკითხების არასაკმარისი დამუშავება.

4. საჭიროდ იქნეს ცნობილი საგაზაფხულო მარცვლეული კულტურების ნათესი სივრცის გაფართოება 4,4%—ით—სახნავის გამოყენების ინტენსიფიკაციისა და ახალი მიწების სასოფლო-სამეურნეო გამოყენების საშუალებით. განსაზოგადოებულ სექტორში ნათესი სივრცის გაფართოება განისაზღვროს არა ნაკლებ, ვიდრე 19% მთელი საგაზაფხულო ნათესი სივრცისა.

5. საჭიროდ იქნეს ცნობილი საგაზაფხულო ზოლში ტენიკურ ნედლეული კულტურების ხვედრითი წონის თვალსაჩინოდ გადიდება; ამასთანავე უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ამ კულტურების ნათესი სივრცის გადიდების შემდეგი პროცენტი:

ბამბა	72,3%	ნათესი სივრცე აყვანილ უნდა იქნეს	14.300 ჰექტარამდე
თამბაქო	40%	„ „ „ „ „	21.000 „
კენაფი	925%	„ „ „ „ „	2.050 „
შაქრ. კარხ.	25%	„ „ „ „ „	250 „
სოია	309,2%	„ „ „ „ „	20.460 „

სულ ტენ. კულ-

ტურ. დარგში 102,3% „ „ „ „ „ 58.060 ჰექტარამდე

6. საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ჩატარების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჩაის პლანტაციების სივრცის გაფართოებას; 1930 წ. გაშენებულ უნდა იქნეს 6.503 ჰექტარი ახალი ჩაის პლანტაცია.

ამასთან ერთად საჭიროა სხვა სუბტროპიკული და განსაკუთრებით ტენიკური კულტურების გავრცელების გაძლიერება.

კერძოდ, საჭიროდ იქნეს ცნობილი რამის გაშენება 1.000 ჰექტარზე და ტუნგის ხის გაშენების დაწყება.

დაევალოს საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს იხმაროს სათანადო ღონისძიებანი რამის გაშენების საქმის უზრუნველყოფისათვის სათეს-
ლე მასალით; ამასთან ერთად მიღებულ იქნეს ღონისძიება დასავლეთ საქარ-
თველოში სათესლე მასალის დამზადების შესაძლებლობის გამოსარკვევად.

7. აღნიშნულ იქნეს არასაკმარისი ტემპი ვენახების აღდგენისა, რასაც აღვილი ჰქონდა წარსულ წლებში და რასაც შედეგად მოჰყვა ვენახების სივრცის შემცირება. მომავალში მევენახეობის აღდგენის პროცესის გასაძლიერებლად და ამერიკული ვაზის შემოტანის საჭიროების თავიდან ასაცილებლად საჭიროდ იქ-
ნეს ცნობილი 250 ჰექტარი სადღედ ამერიკული ვაზის გაშენება საბჭოთა მეურ-
ნეობებისა და სპეციალური საწარმოო კოოპერაციის ხაზით.

ვენახის გაშენების საქმის დაფინანსება უნდა სწარმოებდეს მარტოოდენ განსაზოგადოებული სექტორის ხაზით.

8. გაძლიერებულ იქნეს ხეხილის ნარგავი სივრცის გაფართოება და ახალი ხილის ბაღების გაშენების საქმის დაფინანსება უზრუნველყოფილ იქნეს საბჭოთა მეურნეობებისა და კოლექტიური მეურნეობების ხაზით.

9. რადგანაც მებოსტნეობის განვითარებას თვალსაჩინო მნიშვნელობა აქვს როგორც ქალაქის, ისე სოფლის მოსახლეობის სასურსათო რესურსების გადი-
დებისა და გაუმჯობესების მხრივ, საჭიროდ იქნეს ცნობილი ბოსტნების სივრცის გაფართოება 128,9⁰/₀-ით და ეს სივრცე გადიდებულ იქნეს 10.759 ჰექტარამდე შემდეგი ღონისძიებების განხორციელებით:

ა) მოსახლეობისათვის სათესლე მასალის მიწოდებით;

ბ) ბოსტნის პროდუქციის წარმოებითი კონტრაქტაციის პრაქტიკის გა-
ძლიერებით;

გ) სათანადო აგროგანმანათლებელი მუშაობის გაძლიერებით.

მებოსტნეობის შემდგომი განვითარებისა და რაციონალიზაციის უზრუნ-
ველყოფის მიზნით საჭიროდ იქნეს ცნობილი საბოსტნე მეთესლეობის თვალსა-
ჩინო გაფართოება საბჭოთა მეურნეობებისა და კოლექტიური მეურნეობების ხა-
ზით, თანაც დაევალოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, რაც შეიძლება მოკლე ხანში შეადგინოს დაწვრილებითი გეგმა სათანადო ღონისძიებებისა, რო-
მელნიც განხორციელებულ უნდა იქნენ 1930 წლის საგაზაფხულო სასოფლო-სა-
მეურნეო კამპანიის ჩატარების დროს.

10. რადგანაც საკვები რესურსების გადიდება ძირითადი პირობაა, მეცხო-
ველეობის სწრაფი განვითარებისა, როგორც საქონლის რიცხვის გადიდების, ისე მისი პროდუქტივობის გაძლიერების ხაზით,—საჭიროდ იქნეს ცნობილი:

ა) სათესი ბალახის სივრცის გაფართოება 373⁰/₀-ით,—სივრცე აყვანილი უნდა იქნეს 15.000 ჰექტარამდე, რისთვისაც საჭიროა სათანადო ღონისძიებათა ფართო განხორციელება მოსახლეობისათვის სათესი ბალახის თესლის მისაწო-
დებლად;

ბ) მასიური ღონისძიებების განხორციელების დაწყება საძოვრების განა-
ხლებისათვის;

გ) საკვების დასილოსების პრაქტიკის გავრცელება მასიურ მეურნეობაში და სილოსის კოშკების მშენებლობის დაწყება კოლექტიური მეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხაზით, რისთვისაც საკრედიტო გეგმაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს სათანადო ფინანსების გაღება;

დ) სათესი ბალახის სივრცის სწრაფი გაფართოების უზრუნველსაყოფად, — გაშენებულ იქნეს კოლექტიურ მეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სათანადო სათესლე ნაკვეთები და მიმდინარე წელსავე გატარებულ იქნეს კონტრაქტაცია სათესი ბალახის თესლისა 1.500 ჰექტარის სივრცეზე.

დაევალოს ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს გამოარკვიოს საკითხი აღნიშნულ სივრცეზე სათესი ბალახის თესლის კონტრაქტაციის საქმის სათანადო სახსარით უზრუნველყოფის შესახებ.

დაევალოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს 15 დღის განმავლობაში შეიმუშაოს საძოვრების განახლებისა, სილოსის კოშკების მოწყობისა და სათესლე ნაკვეთების გაშენებისათვის საჭირო ღონისძიებათა დაწვრილებითი გეგმა.

11. ბოსტნების სივრცისა და სათესი ბალახის სივრცის გასადიდებლად თესვის კომისიის გეგმაში გათვალისწინებულ ოდენობამდე, — წინადადება მიეცეს „სოფლის კავშირს“ დაუყოვნებლივ შეუდგეს როგორც ბოსტნის კულტურების, ისე სათესი ბალახის თესლის დამზადებას.

12. დამტკიცებულ იქნეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ ნავარაუდები გადიდება ნათესი სივრცისა და სხვა კულტურებისა ცალკე ოლქებში და მაზრებში.

13. რადგანაც საჭიროა კარტოფილის ნათესის სივრცის გადიდება 1.000 ჰექტარით, — გეგმაში გათვალისწინებული ნორმის ზედმეტად, — წინადადება მიეცეს სასოფლო-სამეურნეო ბანკს შეიმუშაოს დაფინანსების სათანადო პროექტი და სასწრაფოდ წარუდგინოს იგი დასამტკიცებლად საქართველოს ეკონომიურ საბჭოს.

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს „სოფლის კავშირთან“ ერთად დაამზადოს თესლი კარტოფილის დასათესად 1.000 ჰექტარის სივრცეზე.

14. რადგანაც თესვის კომისიის გეგმაში განსაზოგადოებული სექტორისათვის გათვალისწინებული გადიდება ვენახის და ხეხილის ნარგავის სივრცისა საქმარისი არ არის, — წინადადება მიეცეს კოლმეურნეობათა ცენტრს და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს მიიღონ ღონისძიებანი მათ გასადიდებლად.

15. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს იანვრის 15-სათვის დამატებით წარმოადგინოს მეცხოველეობის ყველა დარგში განსახორციელებელ ღონისძიებათა დაწვრილებითი გეგმა და გეგმის შემუშავების დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაციოს მეცხოველეობის სოციალისტურ-ტექნიკური რეკონსტრუქციის ტემპების რადიკალურად გადიდების აუცილებლობას.

16. ზემოაღნიშნული ამოცანების გადაწყვეტას ნათესების სივრცისა და სხვა კულტურების სივრცის გასადიდებლად თან უნდა ახლდეს სოფლის მეურნეობის

სოციალისტური სექტორის გაძლიერებული ზრდა და მისი ხვედრითი წონის თვალსაჩინო გადიდება ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში.

ამ მიზნით საქართველოს კოლექტიურ მეურნეობათა სისტემამ შემდეგი ძირითადი ამოცანები უნდა დაისახოს:

ა) მეურნეობათა კოლექტივიზაციის პროცენტი გადიდებულ უნდა იქნეს 6,3⁰/₀-დან 19⁰/₀-მდე;

ბ) კოლექტიურ მეურნეობებში განსაზოგადოებული მიწის სივრცე გადიდებულ უნდა იქნეს 57.000 ჰექტარიდან 212.000 ჰექტარამდე;

გ) საგაზაფხულო ნათესის სივრცე კოლექტიურ მეურნეობებში გადიდებულ უნდა იქნეს 12.000 ჰექტარიდან 141.000 ჰექტარამდე.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მეცხოველეობის კოლექტივიზაციას, კერძოდ მსხვილი რქოსანი საქონლის და მეცხვარეობის დარგში.

ცნობილ იქნეს ძირითად ამოცანად არსებულ კოლექტიურ მეურნეობათა გადიდება და აგრეთვე ახალ მსხვილ კოლექტიურ მეურნეობათა მოწყობა. ზოგიერთ რაიონში (ატენის, ლაგოდეხის და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების რაიონები) მიმდინარე წელსვე დასახულ უნდა იქნეს ამოცანად მთლიანი კოლექტივიზაციის განხორციელება.

17. საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის დარგში საკვიროდ იქნეს ცნობილი არსებული საბჭოთა მეურნეობების გაძლიერება და გაჯანსაღება, რისთვისაც უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მათი გადიდება, სათანადო სპეციალიზაცია, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება და შრომის ნაყოფიერების გადიდება.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საბჭოთა მეურნეობების საორგანიზაციო—საწარმოო ზეგავლენის გაძლიერებას ირგვლივ მცხოვრებ მოსახლეობაზე.

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს შეიმუშაოს ახალი საბჭოთა მეურნეობების მოწყობის გეგმა და ორი კვირის განმავლობაში წარუდგინოს იგი დასამტკიცებლად საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოს.

18. რადგანაც ნათესების სივრცის და კერძოდ ტენიკური კულტურების (ბამბა) ნათესის სივრცის ნავარაუდები გადიდების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას სამელიორაცია ღონისძიებათა სრული და თავის დროზე განხორციელება წარმოადგენს,—წინადადება მიეცეს საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს უზრუნველჰყოს, რომ 1930 წლის გაზაფხულისათვის მიღებულ იქნეს 32.130 ჰექტარი ახლად მელიორირებული მიწა.

დაევალოს საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციას, სხვა სათანადო ორგანიზაციების საქმეში ჩაბმით, გამოიკვლიოს სამელიორაცია ამხანაგობათა მდგომარეობა და ერთი თვის ვადაზე წარუდგინოს განსახილველად საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოს დასკვნა და სათანადო ღონისძიებათა პროექტი.

დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს უზრუნველჰყოს მაქსიმალური გამოყენება 1930 წლის საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის მელიორირებული მიწებისა.

დაევალოს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს თავის დროზე, მინდვრად მუშაობის დაწყებამდე, განახორციელოს მდინარეების ნაპირების გასამაგრებლად საჭირო ღონისძიებანი დაღუპვისაგან ნათესების გადასარჩენად.

წინადადება მიეცეს სოფლის კავშირის და წყალთა მეურნეობის სამმართველოს გააძლიერონ ხელმძღვანელობის გაწვევა სამელიორაციო ამხანაგობებისა და ადგილობრივი წყალთა ადმინისტრაციისათვის, რათა ნათესები თავის დროზე და საკმარისად იქნეს მორწყული, პირველ რიგში ბამბის ნათესები.

19. გაძლიერებულ უნდა იქნეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტემპი და მისი საწვევი ძალა და საამისო მუშაობა უნდა სწარმოებდეს ისეთი მეთოდებით, რაც უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო წარმოების კოლექტიური ფორმების გაშლის დაჩქარებას და საწარმოო საშუალებათა ტექნიკურის მხრივ მაქსიმალურად რაციონალურ გამოყენებას.

ამ მიზნით საჭიროდ იქნეს ცნობილი, როგორც მინიმუმი, საგაზაფხულო თესვის კამპანიის დროს შემდეგ ამოცანათა განხორციელება:

ა) მოეწყოს სამი სამანქანო-სატრაქტორო სადგური: ბორჩალოსა, გომსა და დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკული კომბინატის რაიონში;

ბ) გადიდებულ იქნეს ძალოვანი სატრაქტორო კოლონების რაოდენობა 6-დე;

გ) მოეწყოს 42 ცხენ-სამანქანო და ხარ-სამანქანო კოლონა და სრულიად მოისპოს ინდივიდუალურ საგლეხო მეურნეობათა მუშა-საქონლით მომარაგების საქმის დაკრედიტება;

დ) გაფართოებულ იქნეს სარემონტო სახელოსნოების ქსელი, რისთვისაც მოეწყოს 5 ახალი სახელოსნო და დამთავრდეს არსებულ სახელოსნოთა გაწყობა;

ე) გაძლიერებულ იქნეს ტექნიკური დახმარება და ხელმძღვანელობა ტრაქტორებისა და სხვა რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოყენების საქმეში;

ვ) დაევალოს ცეკავშირს, სოფლის კავშირს და კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრს მოაწყონ დაუცადებელი და თავისდროული მომარაგება ტრაქტორებისა სათბობი და საცხები მასალით.

20. წინადადება მიეცეს ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საჭოებს და საოლქო და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს შეუდგნენ ხელუხლებელი დამზღვევი სათესლე ფონდის შექმნას, რაც სრულიად საქართველოს ცენტ. აღმ. კ-ტისა და საქართველოს სახ. კ-თა საბჭოს 1929 წ. სექტემბრის 5-ის დადგენილების თანახმად, მოწყობილ უნდა იქნეს არა უგვიანეს 1930 წ. თებერვლის 15-ისა.

21. დაევალოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს მთლად გამოიყენოს, დიდრონ მასივებად, ჯიშინი სათესლე მასალა და აგრეთვე მიიღოს ყოველი ღონისძიება ჯიშინი სათესლე მასალის რაოდენობის შემდგომი გადიდებისათვის, ისეთი ვარაუდით, რომ ორ უახლოეს წელიწადში მთელი სათესი სივრცე სავსებით უზრუნველყოფილ იქნეს სასელექციო თესლით.

22. საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიამ უნდა მოახდინოს რადიკალური გარდატეხა მარცვლეული და ტექნიკური კულტურებისათვის მინერა-

ლური სასუქის მასსიური გამოყენების სფეროში და, სათანადო საცდელი მუშაობის გაღრმავებასა და გაფართოებასთან ერთად, უნდა გამოიწვიოს მასსიური გადასვლა კოლექტიურ მეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისა მინერალურ სასუქზე მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წინადადებით.

თვალსაჩინოდ იქნეს გაძლიერებული მინერალური სასუქის შეტანა ტენიკურ კულტურებში (ბაბმა, თამბაქო, შაქრის კარხალი).

დაევალოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს შეუდგეს მიმდინარე წელს ფართო ღონისძიებათა განხორციელებას მიწების მოკირიანებისა და დატკილვისათვის და მოკირიანების გეგმა უზრუნველჰყოს საჭირო რაოდენობის მფქვავე ავრეგატებით.

23. მოსავლიანობის გადიდებისათვის წარმოებული მუშაობის პირობებში უაღრესი მნიშვნელობა აქვს მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებათა ფართოდ განხორციელებას. ამისდაშესაბამისად დამტკიცებულ იქნეს შემდეგი პროგრამა:

- ა) დაიწამლოს სათესი მასალის 100%-ი;
- ბ) გაიწმინდოს სათესი მასალის 100%-ი;
- გ) კალიასთან ბრძოლა წარმოებულ იქნეს 29.000 ჰექტარის სივრცეზე;
- დ) უზრუნველყოფილ იქნეს სრული და თავისდროული მიწოდება მევენახეთათვის საჭირო წამლეული მასალისა;

ე) უზრუნველყოფილ იქნეს მეხილეობის ძირითად სამრეწველო რაიონებში ხილის ბაღების მასსიური წამლობის განხორციელება.

24. უმარტივეს აგრკულტურულ გაუმჯობესებათა მასსიური განხორციელებისათვის გაფართოებულ იქნეს აგრომინიმუმის გამოყენების პრაქტიკა; თანაც ამ აგრომინიმუმს უნდა დაერთოს მთელი რიგი უმარტივესი ღონისძიებები მეცხოველეობისა (ზოომინიმუმი, ვეტმინიმუმი) და სპეციალური კულტურების სფეროში და ეს აგრომინიმუმი გავრცელებულ უნდა იქნეს ყველა სოფელზე. აგრეთვე საჭიროა იგი ფართოდ დამუშავებულ იქნეს საწარმოო თათბირებზე და მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება კონტროლის გაწევას აგრომინიმუმის ნამდვილად განხორციელებისათვის. განმტკიცებულ უნდა იქნეს აგრორწმუნებულთა კადრები და აგროორგანიზაციებმა მუდმივი ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ აგრორწმუნებულთა მუშაობას. გაძლიერებულ უნდა იქნეს სოფლის აქტივის ხელახალი მომზადება. დაევალოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს შეიმუშაოს და წარუდგინოს დასამტკიცებლად სახალხო კომისართა საბჭოს პროექტი დადგენილებისა—კოლექტიურ მეურნეობებისათვის სავალდებულო გადიდებული აგრომინიმუმისა და ზოომინიმუმის შესახებ.

25. რადგანაც წარმოებითი კონტრაქტაციის შემდგომ განვითარებას უაღრესი მნიშვნელობა აქვს, დამტკიცებულ იქნეს,—როგორც მინიმუმი, დავალებათა შემდეგი რიგი:

კულტურები:	დაკონტრაქტებული სივრცე:
ხოზბალი	15.000 ჰექტარი
ქერი	10.000 "
სიმინდი	125.000 "
ბამბა	12.000 "

კულტურები:	დაკონტრაქტებული სივრცე:
სოია	15.000 ჰექტარი
თამბაქო	20.000 „
კენაფი	800 „
შაქრის ქარხალი	250 „
რამი	500 „
ეთეროვან-ზეთოვანი	110 „

26. საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ყველა ღონისძიების განხორციელების შედეგად მოსავლიანობის გადიდება უზრუნველყოფილ იქნეს შემდეგი რაოდენობით:

- მარცვლეულისა—8,3⁰/₀; კერძოდ: საბჭოთა მეურნეობებში 20⁰/₀
- კოლექტიურ მეურნეობებში 15⁰/₀
- ინდივიდუალურ მეურნეობებში 7⁰/₀

27. საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიისათვის დაყენებული ამოცანების გადაწყვეტა საჭიროებს მუშათა კლასისა, მოჯამაგირეთა და ღარიბ და საშუალო გლეხობის ძალისა, ინიციატივისა და აქტივობის ფართო მობილიზაციას.

ამ მიზნისათვის საჭიროა:

ა) ფართოდ გაშლილ იქნეს ყველა სოფელში სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირების მუშაობა, რისთვისაც ეს თათბირები მოწვეულ უნდა იქნენ რეგულიარულად; ამასთანავე, საწარმოო თათბირების უშუალო მუშაობაში ფართოდ ჩაბმულ უნდა იქნენ კოლექტიურ მეურნეთა, მოჯამაგირეთა, ღარიბ და საშუალო გლეხთა აქტივი და აგრეთვე აგრონომთა, მასწავლებელთა და კომკავშირელთა კადრები;

ბ) ფართოდ გაშლილ იქნეს ყველა საბჭოთა მეურნეობაში, კოლექტიურ მეურნეობაში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურზე, სატრაქტორო, ცხენ-სამანქანო და ხარ-სამანქანო კოლონებში და სოფლად სოციალისტური შეჯიბრება; თანაც მიექცეს ყურადღება, მემინდვრეობასთან ერთად, იმ საკითხების გადაწყვეტას, რაც დაკავშირებულია მეცხოველეობასთან და სპეციალურ კულტურებთან.

ამ მიზნისათვის ყოველმხრივ გამოყენებულ უნდა იქნეს ნაყოფიერი გამოცდილება დამკვერელი ბრიგადებისა მრეწველობაში, რისთვისაც ბრიგადები უნდა მოეწყოს საუკეთესო მოჯამაგირეთა, ღარიბ და საშუალო გლეხთა, კოლექტიურ მეურნეთა, მეტრაქტორეთა და აგრონომთაგან;

გ) განხორციელებულ იქნეს არა ნაკლებ, ვიდრე 60 ბრიგადის გაგზავნა ადგილობრივ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ჩატარების დროს.

28. აღნიშნულ ამოცანათა გადაწყვეტისათვის უაღრესი მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში არსებული კადრების მომზადებას და ახალი კადრების გაძლიერებას, აგრეთვე ღარიბ და საშუალო გლეხთა მასებში ფართო აგრონომიზაციის ჩატარებას.

ამ მიზნისათვის საჭიროა:

ა) განხორციელებულ იქნეს საბჭოთა და კოოპერატიული მომუშავეების რესპუბლიკანური, საოლქო და სამაზრო კადრების მობილიზაცია საგაზაფხუ-

ლო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის დროს სოფლად ვაგზავენისათვის ქვედა საბჭოთა და კოოპერატიული ორგანიზაციების გასაძლიერებლად;

ბ) ვაიგზავენოს 1—2 თვის ვადით, წარმოებითი პრაქტიკის წესით, არა ნაკლებ სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლის 150 სტუდენტისა სავაგზაფხოლო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის მომზადებისა და განხორციელებისათვის საჭირო მუშაობის ჩასატარებლად;

გ) მოეწყოს ზამთრის პერიოდში საადგილმამულო ორგანოებისა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისა, განათლების სახალხო კომისარიატის ორგანოებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების გაერთიანებული ძალით მასსიური ლაშქრობა აგრონომიული უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის.

29. სასოფლო-სამეურნეო კამპანიასთან დაკავშირებული ყველა ამოცანის გადაწყვეტა საჭიროებს, სახელმწიფოს მიერ დაბანდებულ სახსართა დამატებად, კოლექტიურ მეურნეობათა და ღარიბ და საშუალო მეურნეობათა დანაზოგისა და სახსარის ფართო მობილიზაციას; ამასთანავე, ამ ამოცანას ადგილობრივ უნდა მიეცეს სრულიად კონკრეტული ხასიათი, ხოლო სასოფლო-სამეურნეო კრედიტის წარმართვის აუცილებელი პირობაა არა მარტო საკუთარი სახსრის დაბანდება, არამედ ისიც, რომ კოლექტიურმა მეურნეობებმა შეასრულონ წესდების მოთხოვნა საწარმოო საშუალებათა განსაზოგადოების შესახებ.

ამასთან ერთად მობილიზებულ უნდა იქნენ აგრეთვე წარმოების სუშალებანიც მათი სრულად გამოყენებისათვის, კერძოდ, — უნდა მოეწყოს სამკვლადი შეუსყვეტელი მუშაობა ტრაქტორებისა, ტრიერებისა და სხვა რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა.

ამ მიზნით, კოლექტიურ მშენებლობის გაშლასთან ერთად, მიღებულ უნდა იქნეს ღონისძიება, რათა საბჭოთა მეურნეობებმა, კოლექტიურმა მეურნეობებმა და ქვედა წარმოებითმა კოოპერაციამ გაუწიონ ღარიბ მეურნეობებს ფართო წარმოებითი დახმარება მიწის შრომითი მოხენით, ზიარად მოხენით და სხვ.

30. ზემოაღნიშნული ამოცანების საფუძველზე დაევალოს აგრონომიურ რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს და საოლქო და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს შეადგინონ გაზუსტებული გეგმები სავაგზაფხოლო სასოფლო-სამეურნეო კამპანიისა და თებერვლის დამდეგამდე მიაწოდონ ეს გეგმები სოფლებს, კოლექტიურ მეურნეობებს და მარტივ საწარმოო შენაერთებს.

ეს გეგმები ფართოდ უნდა იქნეს განხილული საწარმოო თათბირებზე, კოლექტიურ მეურნეობათა წევრების კრებებზე, ღარიბთა კრებებზე, სასოფლო ყრილობებზე და სხვ.

31. წინადადება მიეცეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს — გადასინჯოს, კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრთან და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად, საადგილ-მამულო სამუშაოთა გეგმები იმ ხაზით, რომ ეს გეგმები თავმოყრილ იქნეს კოლექტიურ მეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობათა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურთა მშენებლობის ამოცანის გარშემო, და აგრეთვე განაგრძოს შეუსყვეტლად ზამთრის პერიოდში მუშაობა მიწათმოწყობისათვის ერთიანი კოლექტივიზაციის რაიონებში.

32. დაევალოს საგაზაფხულო თესვის კამპანიის განმხორციელებელ კომისიას შეიმუშავოს 1930 წლისათვის კონტრაქტაციის გეგმა ოლქებისა და მაზრების ხაზით.

33. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს რწმუნებულად საქართველოს სსრ-ში 1930 წელს საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ჩატარებისათვის დანიშნოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი ამხ. ივანოვ-კავკასსკი, ხოლო მის მოადგილედ საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ამხ. ს. ჯულელი (ამხ. ა. კაჭარავას მენაცვლეობით); რწმუნებულთან მოეწყოს კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ქურდაძე, ძამანაშვილი, წულუკიძე, სააკიანი, სიხარულიძე, არუთინოვი და გოგია.

რწმუნებულებად აფხაზეთის სსრ-ში და აჭარისტანის ავტ. სსრ-ში დანიშნულ იქნენ სახალხო კომისართა საბჭოების თავმჯდომარენი, ხოლო სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში—ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ ოლქებსა და მაზრებში—საოლქო და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარენი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი პ. მეგრელიშვილი.

1930 წ. იანვრის 5.
 ტფილისი—სასახლე.

42. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. კ. ს.

რუსთაველის სახელობის სადრამო თეატრისა, ტფილისის საოპერო თეატრისა, ქუთაისის სადრამო თეატრისა, მოზარდი მაყურებლის თეატრისა, სომხური სადრამო თეატრისა და თურქული სადრამო თეატრის სახელმწიფო აკადემიურ თეატრებად გამოცხადების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

გამოცხადებულ იქნეს სახელმწიფო აკადემიურ თეატრებად: ქალაქ ტფილისში—რუსთაველის სახელობის სადრამო თეატრი, საოპერო თეატრი, მოზარდი მაყურებლის თეატრი, სომხური სადრამო თეატრი და თურქულ სადრამო თეატრი, ხოლო ქალაქ ქუთაისში—სადრამო თეატრი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მაგ. ა. ანთაძე.

1929 წ. იანვრის 26.
 ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტ“-ის 35 №-ში 1930 წ. თებერვლის 12.